საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/ 216

ქ. ბათუმი 05 სექტემბერი, 2022 წელი

,,ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე 2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს N01-02/200 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული ,,სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის", „2022–2023 სასწავლო წლისთვის ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 თებერვლის N06-01/09 დადგენილების,** ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის"**, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ციფრული მედია და ინოვაციები" დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 10 ივნისის N06-01/48 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2022-2023 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 ივლისის №06-01/55 დადგენილების, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 5 აგვისტოს N01-02/196 ბრძანების, ბსუ-ს სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის MES 3 22 0000994318, 05/09/2022 საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე **2022-2023 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადების შესახებ"** ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 აგვისტოს N01-02/200 ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ:

   ა) **ბრძანების პირველი პუნქტში აღნიშნულ N1 დანართში ცვლილება,** დაემატოს მე-20 გრაფა - ჩანაწერი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნეირებათა ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ,,ციფრული მედია და ინოვაციები" (სწავლის წლიური საფასური 2250 ლარი) მისაღები 10 ადგილის შესახებ.";

ბ) ბრძანების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია განხორციელდეს **2022 წლის 29 აგვისტოდან 8 სექტემბრის** ჩათვლით, ყოველ სამუშაო დღეს (შაბათ-კვირის გარდა), 10:00 საათიდან 17:00 საათამდე (ბსუ-ს I კორპუსი, ოთახი N20, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის N35/32).";

გ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. მაგისტრატურაში მისაღები გამოცდები ჩატარდეს განრიგით:

4.1. **მისაღები გამოცდა უცხო ენაში** - 2022 წლის 9 სექტემბერი (დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი;)
4.1.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2022 წლის 9 სექტემბერი;
4.1.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2022 წლის 10 სექტემბერი, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;
4.1.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2022 წლის 12 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).
4.2. **მისაღები გამოცდა სპეციალობაში** - 2022 წლის 13 სექტემბერი (გამოცდის დაწყების დრო: I ცვლა - 10^{00} საათი, II ცვლა - 14^{00} საათი;):
4.2.1. გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2022 წლის 14 სექტემბერი;
4.2.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება - 2022 წლის 15 სექტემბერი, 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე, ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) მეშვეობით;
4.2.3. საპრეტენზიო განცხადებებზე პასუხის მომზადება - 2022 წლის 16 სექტემბერს (ეცნობება კონკურსანტს, მის მიერ სარეგისტრაციო განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ მისამართზე).";

გ) ბრძანების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. გამოცდების **საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2022 წლის 16 სექტემბერს,** ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურთან (კანცელარია) არსებულ საინფორმაციო დაფაზე."

დ) ბრძანების მე-7-9 **პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,7. შეიქმნას მაგისტრატურაში დოკუმენტაციის მიმღები კომისია **№3 დანართის** შესაბამისად (კომისიის მიერ დამუშავდეს <u>29 აგვისტოდან 8 სექტემბრის ჩათვლით, ყოველდღე, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე</u> პერიოდში მაგისტრანტობის კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია).

8. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებთან **ხელშეკრულებები გაფორმდეს 2022 წლის 19, 20 სექტემბერს,** <u>10:00 საათიდან 17:00 საათამდე</u> პერიოდში (მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა N32/35, კორპუსის და ოთახის ნომრის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს გამოცდის საბოლოო შედეგებთან ერთად).

9. ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2022 წლის 21 სექტემბერს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.“.

2. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
3. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს ბსუ-ს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების მომზადება წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით და ბსუ-ს ვებგვერდის ადმინისტრირების წესის შესაბამისად (web@bsu.edu.ge) წარდგენა, ბსუ-ს ვებგვერდზე, ასევე ბსუ-ს ფეისბუკგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების შესახებ განახლებული ტექსტი/ინფორმაცია (წარდგენილი სასწავლო პროცესის დეპარტამენტის მიერ) განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი *მერაბ ხალვაში*